ბრძანება

ქ. თბილისი

N 2615-02
07/10/2022

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების თარიღის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 27-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, 24 -ე მუხლის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის N9 სხდომაზე დამტკიცებული ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების“ მე-18 მუხლისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 5 ოქტომბრის N15079-35 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის საბჭოში წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია და არჩევნები 1 (ერთი) ვაკანტურ ადგილზე.

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 10 ოქტომბრიდან 17 ოქტომბრის 18:00 საათის ჩათვლით უნივერსიტეტის კანცელარიაში (ჩოლოყაშვილის გამზ.3/5) ან უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართზე უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის სახელზე განაცხადისა და დოკუმენტაციის გამოგზავნით info@iliauni.edu.ge

3. უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატი უნდა იყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი.

4. ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას და დოკუმენტს:

ა)კანდიდატის სახელი და გვარი, მის მიერ დაკავებული აკადემიური თანამდებობის მითითებით;

ბ) ფაკულტეტის სახელწოდება;

გ) კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი შეავსოს 2 სამუშაო დღის განმავლობაში. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატს შეუძლია გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს საჩივრის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;

6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატის ერთ ვაკანტურ ადგილზე გამოცხადებული არჩევნები ჩატარდეს 2022 წლის 25 ოქტომბერს 15:00 საათიდან 18:00 საათამდე. არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრს.

7. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;

8. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს დაევალოს ამ ბრძანების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისათვის გაცნობა და ინფორმირება.

9. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს დაევალოს 2022 წლის 18 ოქტომბრის ჩათვლით მიაწოდოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სია- სახელის, გვარისა პირადი ნომრის მითითებით.

10. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას დაევალოს მიაწოდოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს ინფორმაცია დარეგისტრირებული კანდიდატების შესახებ არაუგვიანეს 2022 წლის 18 ოქტომბრისა;

11. უნივერსიტეტის კანცელარის დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს, უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურსა და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი